ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №453653

ნომერი: AR194130

თარიღი : 22.11.2012

გაცემის თარიღი : 30.11.2012

გაცნობის თარიღი : 03.12.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I და II-ს შორის , (ნაკვეთი N16/53) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ხიზანიშვილის ქუჩის გასწვრივ არსებული გზისპირა გამწვანების ზოლი წარმოადგენს სარეკრეაციო სივრცეს, რომლისთვისაც შესაბამისად ვრცელდება სარეკეაციო ზონა 1–ის სტატუსი. თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზეც ითხოვთ ღია ავტოსადგომის მოწყობას გამწვანებულია, მასზე ფიქსირდება რამდენიმე ხე–ნარგავი და წარმოადგენს რთული რელიეფის მქონე ტერიტორიას. შესაბამისად, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1–ის (რზ–1) (იხ. დანართი).

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) – წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: (25.11.2011 N 12-55)
ა) განათების;
ბ) სარწყავი სისტემის;
გ) სარეკლამო ბილბორდის;
დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის;
ე) კიბეების, გზების, ბილიკების.

აქვე გაცნობებთ, რომ ხიზანიშვილის ქუჩიდან პირდაპირი სამანქანო კავშირი მოცემულ მიწის ნაკვეთთან გამოიწვევს ქუჩაზე ავტომობილების გადაადგილების შეფერხებას და შესაძლოა შეიქმნას საავარიო სიტუაცია. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, არ მიაჩნია შესაძლებლად მოცემული მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელზეც ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1–ის სტატუსი, მოეწყოს ღია ავტოსადგომი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge